

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის

I კურსის დოქტორანტი- გურანდა ავერიაშვილი

ხელმძღვანელები-პროფ. რამაზ გახოკიძე;

პროფ. ალექსანდრე ლონდაძე

კოლოკვიუმი

მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგების ეკომონიტორინგი,

ფიტორემედიაცია ბოლქვიანი კულტურებით და მცენარეული

ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია

თბილისი 2013

ცნობილია, რომ სასარგებლო წიაღისეულის ინტენსიური ამოდება იმდენად აბინძურებს გარემოს, რომ მის ირგვლივ არსებული ნიადაგიდან მოპოვებული კვების პროდუქტები ხშირ შემთხვევაში ძალზე მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნიადაგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობისათვის. ამდენად ასეთი ტიპის ნიადაგების გაწმენდა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ბოლნისის რაიონში, სადაც ხდება ოქროს და სპილენძის მოპოვება, დაახლოებით 150 ჰა ძალზე დაბინძურებულია სპილენძით, კადმიუმითა და თუთით. ასევე დაბინძურებულია 300 ჰა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ზესტაფონის რაიონში, სადაც მოიპოვებენ მანგანუმს და სხვა ფერად ლითონებს.

ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის ნიადაგების გაწმენდის ეფექტურ და მსოფლიოში აღიარებულ შედარებით იაფ მეთოდს ფიტორემიდიაცია წარმოადგენს. მიზანია მავნე ელემენტების ნიადაგიდან ამოდება ისეთი კულტურის მეშვეობით, რომლის გადამუშავების შედეგად მიღებულ საბოლოო პროდუქტში ეს ელემენტები არ გადადიან. ასეთ კულტურას შაქრის ჭარხალი წარმოადგენს. დადგენილია, რომ მეტალებით დაბინძურებულ ნიადაგზე მოყვანილი შაქრის ჭარხლის გადამუშავების შედეგად მიღებულ საირტში რადიონუკლიდები არ ხვდებიან.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ჩატარებული იქნება როგორც მოდელური (ლაბორატორიული), ისე საველე ცდები. დადგენილი იქნება ახალი მეთოდით დამუშავებული შაქრის ჭარხლის საშუალებით ნიადაგიდან კადმიუმის გამოღების ოპტიმალური პირობები (სათესლე მასალის დამუშავება, ექსპოზიცია, პრეპარატის კონცენტრაცია, აგროკლიმატური პირობები და სხვ.). ჩატარებული იქნება შესაბამისი ფენოლოგიური დაკვირვებები და ბიომეტრული გაზომვები. მიღებული შედეგები დადასტურებული იქნება ქიმიურ-ეკოლოგიური ანალიზის მეთოდებით. შემუშავდება პრაქტიკული რეკომენდაციები ახალი ეკო-ბიო-ტექნოლოგიური მეთოდის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

მნიშვნელოვანი საკითხია ეთილის სპირტის მიღების შემდეგ დარჩენილი მასის უტილიზაცია, ვინაიდან ის შეიცავს ჯანმრთელობისათვის მავნე ელემენტებს. ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც კარგად არის განვითარებული კრიოგენული ტექნიკა, არსებობს იდეა სპირტის მიღების დაბალტემპერატურული ტექნიკის გამოყენებით. ამ ხელსაწყოს საშუალებით პირველ ეტაპზე მივიღებთ დაბალი კონცენტრაციის სპირტს, ვაშრობთ დარჩენილ მასას და მასგან გამოვიყენებთ როგორც საწვავს სპირტის კონცენტრაციის გაზრდისათვის. ამ პროცესში განისახლვრება დარჩენილი მასის საწვავის წვის კუთრი სითბო და ზუსტად განისაზღვრება ექონომიკური ეფექტი. რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ცნობილია, რომ სპირტის თვითდირებულების 50% მის წარმოებაზე დახარჯული ენრგიის დირებულება შეადგენს.